



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “შპს “ამატ.ჯი” და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 2507/03)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი

2005 წ. 27 სექტემბერი

საბოლოო გახდა
27/12/2005

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეში: შპს „Amat-G“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ჟ.-პ. კოსტა, თავმჯდომარე,
ა. ბ. ბაკა,
რ. ტიურმენი,
კ. იუნგვიერტი,
მ. უგრეხელიძე,
ა. მულარონი,
ე. ფურა-სანდსტრომი, მოსამართლეები,
და *ს. დოლე*, განყოფილების განმწესრიგებელი,
განიხილა რა საქმე დახურულ სხდომაზე 2005 წ. 6 სექტემბერს, იმავე დღეს
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძვლელია საჩივარი (№ 28537/02), რომელიც სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ 2002 წ. 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად წარადგინეს შპს „Amat-G“-მ („მომჩივანი კომპანია“) და საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა *ვაჟა მებელიშვილმა* მიერ („მეორე მომჩივანი“)

2. მომჩივნებს სასამართლოში წარმოადგენდა ბ-ნი არჩილ კბილაშვილი, ადვოკატი, რომელიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ქ-ნი *თინა ბურჯალიანი*, რომელიც შემდგომში შეცვალა ქ-მა *ეკატერინე გურეშიძემ*, სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელმა.

3. 2004 წ. 28 აპრილს სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-13 მუხლის, აგრეთვე №1 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად გადაწყვიტა, მოპასუხე მთავრობისათვის ეცნობებინა მომჩივანთა საჩივარების თაობაზე. იმავე დღეს სასამართლომ გადაწყვიტა, კონვენციის 29-ე მუხლის (წ3) საფუძველზე ემსჯელა საჩივარის არსებით მხარეზე და იმავდროულად მის დასაშვებობაზე.

4. საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები წარმოადგინეს როგორც მომჩივნებმა, ისე მთავრობამ (რეგლამენტის მუხლი 54ა).

ფაქტები

5. პირველი მომჩივანი შპს-დ დარეგისტრირდა 1995 წ. 6 სექტემბერს თბილისის (საქართველო) დიდუბის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მეორე მომჩივანი დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს თბილისში.

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

6. 1995 წელს, „Amat Shipping Company Limited“-მა და მეორე მომჩივანმა საქართველოში დააარსეს შპს „Amat-G“. მეორე მომჩივანი აღნიშნული კომპანიის დირექტორად დაინიშნა.

7. „Amat-G“ აფრიკის ქვეყნებიდან საქართველოში თევზის პროდუქტის იმპორტს აწარმოებდა. 1996-1998 წლებში, კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით 1.000.000 აშშ დოლარზე მეტი (დაახლოებით 8.518.61 ევრო) გადაიხადა, რის გამოც სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ „მსხვილ გადამხდელად“ იქნა მიჩნეული.

8. 1998-99 წლებში „Amat-G“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სახის თევზის პროდუქტით ამარაგებდა განსხვავებულ ფასად.

9. მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ „Amat-G“-ის არსებული დავალიანების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა.

10. 1999 წ. 29 ოქტომბერს მომჩივნებმა კონტრაქტის პირობების დარღვევისა და ამის შედეგად 6.625.26 ლარის (2.967.71 ევრო) ოდენობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს თბილისის საოლქო სასამართლოში.

11. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატამ 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა მომჩივანი კომპანიის სარჩელი და თავდაცვის სამინისტროს კომპანიისათვის 2.541.88 ლარის (1.138.60 ევრო) ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაავალა.

12. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და ის 2000 წ. 6 იანვარს ძალაში შევიდა როგორც სავალდებულო.

13. 2000 წ. 22 მარტს მომჩივნებმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიმართეს განცხადებით, რომლითაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ითხოვდნენ.

14. 2000 წ. 23 მარტს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს მოსთხოვა, რომ მას ნებაყოფლობით, ერთი თვის ვადაში დაეფარა მომჩივანი კომპანიის წინაშე არსებული დავალიანება.

15. ამ პერიოდის გასვლისთანავე, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების ზომებს მიმართა. მან იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრს იმ არასამხედრო ნაგებობათა სია გაუგზავნა, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელი იყო სატენდერო წესით ვალის

დაფარვის მიზნით. მაგრამ ეს იყო ერთადერთი მიღებული ზომა, 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილება კი აღუსრულებელი დარჩა.

16. 2000 წ. 10 ივლისს თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას ითხოვდა. მაგრამ 2000 წ. 3 აგვისტოს საოლქო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს თხოვნა არ დააკმაყოფილა და დაასკვნა, რომ *"გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ზიანს მოუტანდა მომჩივანი კომპანიის ინტერესებს და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპს დაარღვევდა."* შესაბამისად, ძალაში დარჩა თავდაცვის სამინისტროს მიმართ არსებული სავალდებულო მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე; მაგრამ სამინისტრომ ვალის გადახდა ვერც ამის შემდეგ შეძლო.

17. პარალელურად, 2000 წ. 19 იანვარს, "Amat-G"-მ ხელი მოაწერა კონტრაქტს გადამზიდველი კომპანიის კორპორაცია "Amat"-თან გემის დაქირავებაზე, რომლის ყოველთვიური საიჯარო გადასახადი 45.000 აშშ დოლარს (43.611 ევრო) შეადგენდა.

18. 2000 წ. 20 იანვარს "Amat-G" დაუკავშირდა თავდაცვის სამინისტროს და განუმარტა მას, რომ გემის იჯარის საფასურის დაფარვის ერთადერთი საშუალება მისთვის კომპანიის წინაშე არსებული სამინისტროს დავალიანებაა. მომჩივანი კომპანია რვა თვის განმავლობაში ამაოდ ელოდა თავდაცვის სამინისტროსაგან ვალის გადახდას. ამასობაში გემის იჯარის გადასახადმა 511.200 აშშ დოლარი (4.954,21 ევრო) შეადგინა. "Amat-G"-ის განცხადებით, მან საწარმოო მოგების სახით ასევე დაკარგა 1.344.421 აშშ დოლარი (1.302.923 ევრო) იმის გამო, რომ სამინისტრომ მას ვალი დროულად ვერ გადაუხადა. ამას გარდა, მომჩივან კომპანიას გასანაღლებელი ჰქონდა საგადასახადო დეკლარაცია 41.213 ლარის (18.460 ევრო) ოდენობით.

19. ამ მიზეზთა გამო, 2001 წ. სექტემბერში კომპანიამ "Amat-G" 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობით განცდილი ზიანის გამო, თავდაცვის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების წინააღმდეგ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, მათი კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატაში. კომპანიამ 1.855.621 აშშ დოლარისა (2.036,673 ევრო) და 41.213 ლარის (18.460 ევრო) ოდენობის ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

20. საოლქო სასამართლომ 2002 წ. 20 თებერვალს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა.

21. 2002 წ. 10 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივან კომპანიას უარი უთხრა საოლქო სასამართლოს 2002 წ. 20 თებერვლის გადაწყვეტილების აპელაციაზე.

22. 1999 წ. 6 დეკემბრის აღიარებული დავალიანება ჯერაც, ხუთნახევარი წ. შემდეგაც, გადაუხდელია.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

23 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მუხლი 263 §§1 და 3

"გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა"

"სასამართლოს, რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა, უფლება აქვს, მხარეთა მოთხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, გადადოს ან განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება...."

"გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განწილვადების შესახებ.... სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა".

24. სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 411 _ „ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის“

„ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“

მუხლი 412 _ „ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა“

„ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“

25. სისხლის სამართლის კოდექსი

მუხლი 381

„ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა ანდა მისი აღსრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ [ისჯება]“

26. მოცემულ პერიოდში მოქმედი 1999 წ. 16 აპრილის კანონი “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ”

მუხლი 5§1

“ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს აღსრულებენ სასამართლო აღმასრულებლები, რომელთა სამუშაო ადგილია [იუსტიციის სამინისტროს] სააღსრულებო ბიურო.“

მუხლი 17 §§ 1 და 5

„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.“

მუხლი 92§1 (2000 წ. 12 მაისის შესწორებებით)

„საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იძულებითი აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სამი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა კრედიტორმა თავისი განზრახვა სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე განუცხადა მოვალეს...“

27. 2004 წ. 2 ივლისის საქართველოს მთავრობის განკარგულება №62 საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების გადახდის ღონისძიებათა შესახებ ამ განკარგულების მიღებით მთავრობამ გადაუხდელი ვალების ეტაპობრივი გადახდის მექანიზმი დანერგა. ამ დოკუმენტის მე-2 პუნქტის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს დაევალა, პრიორიტეტულად ეცნო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა აღსრულება, რომლებიც ეხებოდა (I) სხეულის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზიანისათვის კომპენსაციის გადახდას; (II) მუშებისათვის არაუმეტეს სამი თვის ხელფასის გადახდას; (III) რეაბილიტირებულ პირთათვის კომპენსაციის გადახდას. ამავდროულად იუსტიციის სამინისტროს მიეთითა, სხვა კრედიტორთა დავალიანებათა თანაზომიერი გადახდაც უზრუნველყოს, მაგრამ მხოლოდ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების შემდეგ. განკარგულების მე-3 პუნქტის თანახმად, მოვალე სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყონ კრედიტორებთან წარმოშობილ საკითხთა მეგობრული მოგვარება ან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განსაზღვრონ გადაწყვეტილებათა აღსრულების ვადა, რადგან, არასაკმარისი სახსრების გამო, გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ვალების ერთდროული გადახდა არ არის შესაძლებელი.

28. კანონი « საქართველოს მთავრობის სრტუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ », მიღებული 2004 წ. 11 თებერვალს

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების.... განხორციელებას.“

მუხლი 6 § 1 და 3

„მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს. მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით.“

29. 1996 წ. 29 ოქტომბრის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, 2004 წ. 24 ივნისის რედაქციით, მაშინ, როცა სამართლებრივი აქტი შესაძლოა იყოს ნორმატიული ან ინდივიდუალური, მთავრობის განკარგულება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია. ნორმატიული აქტი ქცევის ზოგად წესს აყალიბებს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენებისათვის (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი). მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი კანონიერია მხოლოდ ერთჯერადად და ის შესაბამისობაში უნდა იყოს ნორმატიულ აქტებთან. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გაცემა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ნორმატიული აქტების საფუძველზე და ამ უკანასკნელთა მიერ დადგენილ ვადებში. მასშტაბითა და ძალით იგი ადმინისტრაციული დირექტივის მსგავსია. 2004 წ. 17 თებერვლისა და 24 ივნისის შესწორების შედეგად ჩამოყალიბებული მე-5 მუხლის მიხედვით საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, პარლამენტის რეგლამენტი და პრეზიდენტის დადგენილებები. კანონქვემდებარე აქტები არის დადგენილებები და სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს მიერ გაცემული ბრძანებულებები. სამართლებრივ აქტთა მხოლოდ ეს ორი კატეგორია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობას. ამდენად, მთავრობის განკარგულებები ამ კატეგორიას ას განეკუთვნება. მე-13 მუხლის თანახმად, რომელიც ნორმატიული აქტების კანონს 2004 წ. 24 ივნისის დამატა, მხოლოდ დადგენილებები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს. მათი მიღება ხდება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე მათი განხორციელების მიზნით.

30. 1994 წ. 28 ოქტომბრის კანონი „მეწარმეთა შესახებ“

მუხლი 9§4

„...[შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში] კომპანიას მესამე მხარესთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი...“

სამართალი

31. მომჩივანმა საჩივარი შემოიტანა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მის სასარგებლოდ გამოტანილი 1999 წ. 6 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მისი მტკიცებით დარღვეულია კონვენციის მე-6§1 მუხლი, მე-13 მუხლი და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რომლებიც შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 6 სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

მუხლი 13 სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

მუხლი 1 საკუთრების დაცვა

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.”

I. დასაშვებობა

1. მეორე მომჩივანთან მიმართებით

32. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლში აღნიშნული ცნება „მსხვერპლი“ აღნიშნავს პირს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ზიანი იმ ქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენს (სხვა პრეცედენტთა შორის, იხ. *ვატანი რუსეთის წინააღმდეგ*, № 47978/99, §48, 2004 წ. 7 ოქტომბერი).

33. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტი გააფორმა მომჩივანმა კომპანიამ. იგი მოქმედებდა მეორე მომჩივნის, მისი გენერალური დირექტორის, მეშვეობით, რომელიც წარმოადგენდა კომპანიას მესამე მხარეებთან და ეროვნულ სასამართლოებთან ურთიერთობისას. 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მომჩივანი კომპანიის და არა მეორე მომჩივნის სასარგებლოდ (იხ. ზემოთ §11). შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების აღუსრულებლობამ პირდაპირი ზიანი მიაყენა მომჩივანი კომპანიის ინტერესებს. ამას გარდა, მეორე მომჩივანს არ გამოუთქვამს პრეტენზია მისი, როგორც მომჩივანი კომპანიის გენერალური დირექტორის, მიმართ მინიჭებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით (*a contrario* იხ. *აგროტექსიმი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1995 წ. 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა №330-ა, §§62-72). მისი საჩივარი ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომელიც „მისი“ კომპანიის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. მეტიც, საქმის მასალებში არაფერია ისეთი, რაც მიანიშნებს მეორე მომჩივნის შესაძლო მტკიცებაზე, რომ ის წარმოადგენს არაპირდაპირ მსხვერპლს კონვენციის ზემოთ მითითებული დარღვევის შედეგად, რომელიც შპს-ს უფლებებს ლახავს (*a contrario* იხ., გ. ჯ. *ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, № 21156/93, §24, 2000 წ. 26 ოქტომბერი; იხ. ზემოთ ვატანის საქმე, §§ 49-50).

34. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივარი იმ ნაწილში, რომელიც მეორე მომჩივანს ეხება, *ratione personae* არ შეესაბამება კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებულ დებულებებს და მას უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

1. მომჩივან კომპანიასთან დაკავშირებით

(ა) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა 2002 წ. სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებით

35. რაც შეეხება 2002 წ. 10 ივლისის გადაწყვეტილებით შეჩერებული სასამართლო წარმოების მეორე ნაწილს, მომჩივანმა კომპანიამ გასაჩივრა შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. მისი

განცხადების თანახმად დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მონიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

36. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად მისი მოვალეობაა, უზრუნველყოს კონვენციის ხელმომწერი მხარეების მიერ აღიარებული ვალდებულებების დაცვა. სახელდობრ, მის ფუნქციებში არ შედის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი შეცდომების გადაწყვეტა, რომლებიც, მომჩივნის მტკიცების თანახმად, ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლომ დაუშვა, თუ ეს შეცდომები კონვენციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს არ ლახავს (პოლემჩუკი რუსეთის წინააღმდეგ, № 60776/00, §36, 2004 წ. 7 ოქტომბერი). სასამართლო ასკვნის, რომ მის ხელთ არსებული მასალებიდან არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს სასამართლოთა მიერ ფაქტებისა და მტკიცებულებების საქმეში წარმოდგენილი შეფასება კონვენციის მე-6 მუხლს ეწინააღმდეგება. სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს იმისა, რომ საქმის წარმოება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის შეუსაბამოდ ჩაითვალოს. შესაბამისად, საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

(ბ) კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

37. მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივან კომპანიას არ ამოუწურავს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რადგან მან არ მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აღმასრულებლის წინააღმდეგ მისი უმოქმედობის ბრალდებით (სისხლის სამართლის 381-ე მუხლი). მთავრობის მტკიცებით აღმასრულებელი აღსრულების პროცედურათა ჩატარებისას ყველა წესის დაცვით მოქმედებდა.

38. მომჩივან კომპანიას მთავრობის განცხადებებზე არ უპასუხია.

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღმასრულებელმა, წარმოადგენს რა სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალება, 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გარკვეულ ზომებს მიმართა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ საქმეში მოვალე სახელმწიფო ორგანოა, ხოლო მის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ხარჯების გამოყოფის გათვალისწინებაზეა დამოკიდებული (იხ. ზემოთ §27). ამდენად, 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობა გამოწვეული იყო სათანადო საბიუჯეტო ღონისძიებებით და არა აღმასრულებელი მუშაკის ქცევით (შეად. რომაშოვი უკრაინის წინააღმდეგ, №67534/01, §31, 2004 წ. 27 ივლისი). ამიტომ მომჩივანი კომპანია არ შეიძლება დადანაშაულებულ იქნას იმაში, რომ მან აღმასრულებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა (შესტაკოვი რუსეთის წინააღმდეგ (გარდ.), № 48757/99, 2002 წ. 18 ივნისი). აქედან გამომდინარე,

ის კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოქმედებდა.

40. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას. ამდენად, მომჩივანი კომპანიის საჩივარი მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

(გ) კონვენციის მე-13 მუხლისა და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის საგარაუდო დარღვევა

41. სასამართლო მიუთითებს, რომ №1 დამატებითი ოქმი საქართველოსთან მიმართებით ძალაში შევიდა 2002 წ. 7 ივნისს. ამდენად, მომჩივანი კომპანიის საჩივარი ამ ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე იმ ნაწილში, რომელიც 2002 წ. 7 ივნისამდე პერიოდს ეხება, *ratione temporis* სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ხვდება (სხვა პრეცედენტთა შორის, იხ. სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ, № 48553/99, §56, CEDH, 2002-VII).

42. სასამართლო მიუთითებს ზემოთ 39-ე და მე-40 პარაგრაფების განმარტებაზე, რაც სრულად შეესაბამება მომჩივანი კომპანიის საჩივარს კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე და მისი საჩივარის დანარჩენ ნაწილს №1 დამატებითი ოქმის 1ლი მუხლის საფუძველზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის (§3) შინაარსის ფარგლებში საჩივარი ამ ნაწილში აშკარად დაუსაბუთებელი არ არის. არ არსებობს არც სხვა რაიმე საფუძველი მისი დაუშვებელად გამოცხადებისათვის. ამდენად, ის აღიარებული უნდა იქნას დასაშვებად.

(დ) პრეტენზია კონვენციის მე-17 მუხლის დარღვევის თაობაზე

43. მომჩივნი კომპანიას არ წარმოუდგენია მისი საჩივარის გამამყარებელი რაიმე არგუმენტი კონვენციის მე-17 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

44. საქმეში წარმოდგენილი ყველა მასალის განხილვის შედეგად სასამართლო ასკვნის, რომ საჩივარი არ ასაბუთებს ამ დებულების დარღვევის რაიმე ნიშანს და, შესაბამისად, საჩივარს უარი უნდა ეთქვას როგორც აშკარად დაუსაბუთებელს, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

II. არსებითი მხარე

1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით

45. მომჩივანმა კომპანიამ გაასაჩივრა სახელმწიფო ორგანოების მიერ 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

46. ამის საპასუხოდ მთავრობამ საჩივარა, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. მთავრობის მტკიცებით, შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების პირობებში შეუძლებელი იყო ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული სახელმწიფო დავალიანების სრულად დაფარვა, რაც საერთო ჯამში 47 000 000 ლარს (20 956 397.32 ევრო) შეადგენდა. მთავრობა აღიარებს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, ნამდვილად ჰქონდა ადგილი 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერებას. მაგრამ, მთავრობის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით *"გარდაუვალი იყო საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე"*; სწორედ აღნიშნულ სირთულეებთან დაკავშირებით გამოიცა მთავრობის 2004 წ. 2 ივლისის განკარგულება.

47. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, რომ ძალაში შესული საბოლოო დაგაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმდითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წ. 19 მარტის გნაჩენი, სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული 1997-II, გვ. 510, §40).

48. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მიუღებელია, სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის საბაზად სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ფონდების უკმარისობის მომიზეზება (პოპოვი მოლდოვას წინააღმდეგ, №74153/01, §54, 2005 წ. 18 იანვარი; შმალკო უკრაინის წინააღმდეგ, №60750/00, §§44, 2004 წ. 20 ივლისი). სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება დასაშვებია განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. თუმცა ასეთმა შეჩერებამ არ უნდა შელახოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით მონიჭებული უფლება (პროდანი მოლდოვას წინააღმდეგ, № 49806/99, §53, ECHR, 2004-... (ამონაწერები)). სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობის №62 განკარგულება ამგვარი სახელმწიფო დავალიანებების გადახდასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ §27) არ შეიძლება იყოს მიჩნეული განსაკუთრებულ გარემოებად, რის საფუძველზეც გამართლებული იქნებოდა ვალის დაუფარაობა ხუთ წელზე მეტი ხნის

განმავლობაში, რასაც უკვე ჰქონდა ადგილი აღნიშნულ შემთხვევაში (მდრ. იმობილიარე შაფფი იტალიის წინააღმდეგ [GC], № 22774/93, §§69-74, ECHR, 1999-V). შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოს ფინანსური სირთულეების გამო მომჩივან კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, რათა ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

49. იმის გამო რომ საქართველოს ოფიციალურმა ორგანოებმა ხუთი წ.ა და რვა თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს 1999 წ. 6 დეკემბრის ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებები ყოველგვარ სასარგებლო შედეგიანობას მოკლებული შეიქნა.

50. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

2. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

51. მომჩივანმა კომპანიამ საჩივარი შემოიტანა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და საჩივარა, რომ მას არ მიენიჭა სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად.

52. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანს მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის გასაჩივრებისათვის ხელთ ჰქონდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის სისხლისსამართლებრივი საშუალებები. მთავრობა ამ შემთხვევაში მიუთითებდა ზემოთ მოყვანილ არგუმენტებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურვასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ § 37).

53. სასამართლო, თავის მხრივ, მიუთითებს მის მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე (იხ. ზემოთ §§ 39-40). ამ ფაქტების საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივან კომპანიას არ ჰქონია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მოცემული სასამართლო წარმოების შეფერხების გამო მიადგა (ვოიტენკო უკრაინის წინააღმდეგ, № 18966/02, §§ 4648, 2004 წ. 29 ივნისი).

54. ამით, შესაბამისად, დარღვეულია აღნიშნული მოთხოვნა. 3 . №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

55. მომჩივანმა კომპანიამ საჩივარა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის გამო მან დაკარგა საკუთრება, რითაც დაირღვა №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

56. მთავრობამ დაადასტურა, რომ მომჩივანი კომპანიისადმი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადგენილი გადასახადი, №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად, კომპანიის საკუთრებას

შეადგენდა, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა კომპანიის საკუთრების ფლობის უფლებაში ჩარევას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, მთავრობა მიიჩნევს, რომ კანონის მოთხოვნა არ დარღვეულა, რადგან მის აღსრულებაში ჩარევას სათანადო დასაბუთება ჰქონდა და, საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონიერ მიზანს ემსახურებოდა. მთავრობამ საჩივარა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების სიმცირის გამო მიღებულ იქნა №62 განკარგულება იმ მიზნით, რომ შემუშავებულიყო სასამართლო გადაწყვეტილებათა ეტაპობრივი აღსრულების გეგმა სახელმწიფო ინტერესისა და საზოგადოების საჭიროებათა გათვალისწინებით. მთავრობის მტკიცებით, განკარგულება კანონიერ მიზანს ემსახურებოდა და წარმოადგენდა "საკანონმდებლო ღონისძიებას", რომელიც ჩარევის არათანაზომიერი არ იყო.

57. მომჩივანს მთავრობის ამ განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

58. სასამართლო მიუთითებს, რომ №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მთავარი მიზანია ადამიანის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან მისი საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან (ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ [GC], №31443/96, §143, ECHR, 2004-...). ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად მომჩივნის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენს საკუთრების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების უფლებაში ჩარევას, როგორც ეს №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველ წინადადებაშია გაცხადებული (სხვა პრეცედენტთა შორის, იხ. ბაკალოვი უკრაინის წინააღმდეგ, № 14201/02, §39, 2004 წ. 30 ნოემბერი). მოცემულ შემთხვევაში, მთავრობა სადავოდ არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოხდა მომჩივნის დადგენილი, განხორციელებადი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად წარმოადგენს "საკუთრებას" (დიმიტრიოს გეორგიადის საბერძნეთის წინააღმდეგ, № 41209/98, §31, 2000 წ. 28 მარტი; ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, № 59498/00, §40, ECHR, 2002-III). მთავრობამ ასევე აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა მომჩივანი კომპანიის საკუთრების უფლებებში ჩარევას. უფლებებში ასეთი ჩარევა არც ექსპროპრიაციის ტოლფასია და არც საკუთრების გამოყენებაზე კონტროლისა, არამედ შეესაბამება 1-ლი მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნას (იხ. ზემოთ დიმიტრიოს გეორგიადისის საქმე, №32).

59. №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, სახელმწიფო ორგანოს ნებისმიერი ჩარევა საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში იყოს კანონიერი: პირველი პუნქტის მეორე წინადადება უშვებს ქონების ჩამორთმევას *"კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე"* (იატრიდის საბერძნეთის წინააღმდეგ [GC], №31107/96, §58, ECHR, 1999-II). აქედან გამომდინარე, იმ საკითხის რელევანტურობის დასაბუთება, მიიღწევა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ აღნიშნული ჩარევა კანონიერების მოთხოვნას აკმაყოფილებს და არ იყო თვითნებური (იხ. ზემოთ, იატრიდისის საქმე,

§58) ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები ვალდებული იყვნენ, ჯერ კიდევ 2004 წ. 2 ივლისამდე, ანუ მთავრობის №62 განკარგულების მიღების დღემდე, აღესრულებინათ 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წ. 6 იანვრიდან. მომჩივნი კომპანიისათვის მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენდა მის საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევას, რაზეც მიუთითებს №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი პუნქტი. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სარწმუნო არგუმენტი ამ ჩარევის გასამართლებლად. სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებლობა საბიუჯეტო სახსრების უკმარისობის მოტივით გაუმართლებელია.

60. მთავრობის განცხადებით, მსგავსი ჩარევა კანონიერია 2004 წ. 2 ივლისიდან მოყოლებული №62 განკარგულების მიღების საფუძველზე, რომელსაც ისინი "საკანონმდებლო ღონისძიების" კვალიფიკაციას აძლევენ.

61. სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ კონვენციაში ცნებები "კანონი" და "კანონიერი" "უბრალოდ შიდასახელმწიფოებრივ კანონზე არ მიუთითებს, არამედ, კანონის კრიტერიუმებსაც ეხება, მოითხოვს, რომ კანონი კანონის უზენაესობის პრინციპს შეესაბამებოდეს" (ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1986 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A, №98, §67). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ კამათის საგნად ქცეული მთავრობის განკარგულების მიღებას შედეგად მოჰყვა ხელისუფლების მეორე მცდელობა, ჩარეულიყო მომჩივანი კომპანიის უფლებაში მისი საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობასთან დაკავშირებით. (შეად. *mutatis mutandis*, ანტონაკოპულოსი, ვორცელა და ანტონაკოპულუ საბერძნეთის წინააღმდეგ, №37098/97, §31, 1999 წ. 14 დეკემბერი და შტრან გრეკ ლეფინერიეს და სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1994 წ. 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №301-B, გვ. 84-88, §§ 58-75). საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მთავრობის განკარგულება ნორმატიული სამართლებრივი აქტების კატეგორიას (როგორცაა კონსტიტუცია, კანონები, დადგენილებები და ბრძანებულებები) არ განეკუთვნება; ის წარმოადგენს "ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს". ასეთი აქტი კანონიერია მხოლოდ ერთჯერადად და მისი დანიშნულება არა არის ზოგადი სახელმძღვანელო წესის განსაზღვრა მრავალჯერადი გამოყენებისათვის. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი არც კანონმდებლობის ნაწილია, ეს უკანასკნელი საკანონმდებლო ან ქვე-საკანონმდებლო შინაარსის ნორმატიული აქტებისაგან შედგება (იხ. ზემოთ §§ 28 და 29). ინდივიდუალური აქტი ნორმატიულ აქტებს უნდა შეესაბამებოდეს, მისი გაცემა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ საფუძველზე და ამ უკანასკნელით დადგენილ ვადებში (იხ. ზემოთ §29). ამ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებები არ შეიცავს რაიმე მინიშნებას იმაზე, რომ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადება და სხვადასხვა აღიარებული დავალიანების გადახდის მთავრობის განკარგულების ძალით გადავადება

შესაბამისობაში იყო, ან განისაზღვრებოდა მოცემულ პერიოდში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმატიული აქტით. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროდ ვთვლით იმის მითითებას, რომ დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი - კანონის უზენაესობა - კონვენციის ყველა დებულებაშია ასახული როგორც განუყოფელი პირობა (ზვოლსკი და ზვოლსკა ჩეხეთის რესპუბლიკის წინაარმდეგ, № 46129/99, §65, ECHR, 2002-IX) და გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას, შეასრულოს მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები თუ ბრძანებულებები (ანტონეტო იტალიის წინააღმდეგ, № 15918/89, §35, 2000 წ. 20 ივლისი). შემდგომ, სასამართლო აღნიშნავს, რომ კამათის საგნად ქცეულ განკარგულებაში ჩამოყალიბებული ფორმულირება მომჩივან კომპანიას არ აძლევდა საშუალებას, განეჭვრიტა მის წინაშე არსებული აღიარებული დავალიანების დაფარვის მეტისმეტი დაყოვნება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი კრედიტორების მოთხოვნების უზრუნველყოფის რიგითობის მხრივ პირველ სამ პრიორიტეტულ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. განკარგულება არც იმას აკონკრეტებდა, თუ როდის მიიღებდა მომჩივანი კომპანია განკუთვნილ თანხას განკარგულებაში გაწერილი ზოგადი გეგმის გარგლებში და არც იმას, თუ რა რიგითობა შეიძლებოდა რგებოდა მას "სხვა კრედიტორთა პროპორციული გასტუმრების" დროს. სასამართლოს აზრით, განკარგულება საკმარისად არ აკმაყოფილებდა სიზუსტისა და წინასწარგანჭვრეტილობის მოთხოვნებს, რომლებსაც კონვენციის თანახმად კანონის ცნება გულისხმობს (შეად. ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ, 1994 წ. 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №296-A, გვ. 19, §42).

62. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ჩარევა მომჩივანი კომპანიის უფლებაში მშვიდობიანად ისარგებლოს საკუთრებით არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ სამართლებრივ ზომად, რომელიც შესაბამისობაშია კონვენციაში ჩამოყალიბებულ კანონიერების მოთხოვნებთან. ასეთ ვითარებაში სასამართლოს არ მოეთხოვება იმის დადგება, შეესაბამებოდა თუ არა მომჩივანი კომპანიის საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევა კანონიერ მიზანს, ხოლო თუ შეესაბამებოდა, მიიღწეოდა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესის საჭიროებებსა, როგორც მთავრობა გვთავაზობს, და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

63. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ, 2002 წ. 7 ივნისიდან მოყოლებული (იხ. ზემოთ §41), დარღვეულია №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ

ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს”.

ა. ზიანი

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის თანახმად აუცილებელია სამართლიანი დაკმაყოფილების ნებისმიერი მოთხოვნის დეტალიზება და სასამართლოსათვის წერილობითი სახით წარდგენა შესაბამისი მამტკიცებელი დოკუმენტებისა და ფაქტობრივი მასალის თანხლებით. აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში კი სასამართლომ, შესაძლოა, უარი თქვას საჩივარზე მთლიანობაში ან ნაწილობრივ (იხ. რომაშოვი უკრაინის წინააღმდეგ, №67534/01, §49, 2004 წ. 27 ივლისი).

66. აღნიშნულ შემთხვევაში მომჩივანმა კომპანიამ 2004 წ. 27 ივლისს სასამართლოს წარუდგინა საჩივარი სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის და მატერიალური ზიანის ასანაზრაურებლად მოითხოვა 245.116 ევრო. ამ თანხის ნაწილი - 137685 ევრო შეესაბამებოდა 1999 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ძირითად თანხას (ინფლაციის დონის გათვალისწინებით), ხოლო დანარჩენი წარმოადგენდა გადასახდელ რთულ პროცენტებს 2000 წ. 6 იანვრიდან 2004 წ. 21 ივლისამდე პერიოდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის გადაუხდელი პროცენტული განაკვეთით. მოთხოვნის ამ ნაწილის საბუთად მომჩივანმა კომპანიამ წარმოადგინა წერილი ეროვნული ბანკიდან ინფლაციის დონესთან დაკავშირებით და აუდიტორის ანგარიში.

67. რაც შეეხება შემდგომ ფულად ზიანს, მომჩივანმა კომპანიამ მოგების დანაკარგის ასანაზრაურებლად, რაც მას გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო მიადგა, მოითხოვა 1.627.604 ევრო.

68. მომჩივან კომპანიას მორალური ზიანის კომპენსაცია არ მოუთხოვია.

69. მთავრობამ მომჩივანი კომპანიის მოთხოვნები გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად მიიჩნია. მან აღნიშნა, რომ თუ სასამართლო ამ შემთხვევაში აღიარებს, რომ მომჩივანს დაერღვა უფლება, ეს, თავისთავად, წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

70. ფულად ზიანთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ 1999 წ. 6 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული ვალის გადახდა ჯერ არ მომხდარა. რადგან მთავრობამ ვერ უზრუნველყო ვალის გადახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არც იმაზე მიუთითებია, რომ მისი გადახდა რეალური იყო მომავალში, სასამართლო თვლის, რომ მომჩივანმა კომპანიამ განიცადა გარკვეული ფულადი ზიანი, რაც აღიარებულ ვალს აღემატება. ითვალისწინებს რა ამ საჩივარის დასამტკიცებლად წარმოდგენილ მტკიცებებს (იხ. ზემოთ §66) და ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება: მომჩივან კომპანიას გადაეხადოს 200000 ევრო.

71. მაგრამ სასამართლო ვერ ხედავს მიზეზობრივ კავშირს აღმოჩენილ დარღვევასა და მომჩივანი კომპანიის მოგების დანაკარგის ანაზღაურების მოთხოვნას შორის, რაც რაიმე დოკუმენტაციით გამყარებული არ ყოფილა. ამდენად, სასამართლო უარყოფს მოთხოვნის ამ ნაწილს ფულადი ზიანის თაობაზე.

72. არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოს ასევე არ გამოაქვს რაიმე გადაწყვეტილება მომჩივნის მხრიდან საჩივარის წარმოუდგენლობის გამო. ბ. სასამართლო ხარჯები

73. მომჩივანმა კომპანიამ მოითხოვა 165276 ევრო იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც მან ეროვნულ სასამართლოებში და ჩვენ სასამართლოში იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით გასწია.

74. მთავრობის აზრით, იურიდიული მომსახურების თანხა გაზვიადებული და დაუსაბუთებელია. მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივანმა კომპანიამ ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნებოდა, თუ რა დრო მოანდომა ადვოკატმა საქმის მომზადებას და მის შიდასახელმწიფოებრივი და ჩვენი სასამართლოების წინაშე წარდგენას. მომჩივან კომპანიას ადვოკატისაგან არც ანგარიშ-ფაქტურები წარმოუდგენია და არც სხვა რაიმე საბუთი, რომელშიც დოკუმენტირებული და დასაბუთებული იქნებოდა აღნიშნული გადასახადი.

75. ევროპული სასამართლოს პრეცედენტური სამართლის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს, მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაასაბუთებს, რომ ეს ხარჯები ფაქტობრივად და უცილობოდ გასწია მან და რომ ეს თანხა გონივრული იყო (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. ნილსენი და ჯონსენი ნორვეგიის წინააღმდეგ [GC], № 23118/93, §62, ECHR, 1999-VIII).

76. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო, მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას გადაჭარბებულად მიიჩნევს. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება: მომჩივან კომპანიას სასამართლო ხარჯების სახით გადაეხადოს 2000 ევრო. გ. პროცენტების გადაუხდელობა

77. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადაუხდელი პროცენტების ათვლა მოხდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთიდან, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. საჩივარის ნაწილი ბ-ნ მეზალიშვილთან დაკავშირებით გამოცხადდეს დაუშვებლად.

2. გამოცხადდეს დასაშვებად შპს „ამატ- G“-ს საჩივარი კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების საფუძველზე, ასევე მისი საჩივარი №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, იმ ნაწილში, რომელიც 2002 წ. 7 ივნისის შემდგომ პერიოდს ეხება, ხოლო საჩივარის დანარჩენი ნაწილი გამოცხადდეს დაუშვებლად;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას;

4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;

5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას;

6. ადგენს, რომ

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივან კომპანიას, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(I) 200.000 (ორასი ათასი) ევრო მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით;

(II) 2.000 (ორი ათასი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით;

(III) ამ თანხებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადის ჩათვლით;

(ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

7. უარყოფს მომჩივანი კომპანიის დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2006 წ. 27 სექტემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე
განმწესრიგებელი

ჟ. პ. კოსტა
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად გადაწყვეტილებას ერთვის მოსამართლე მულარონის აზრი, რომელიც ემთხვევა სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის პოზიციას.

ჟ. პ. კოსტა

ს. დოლე

მოსამართლე მულარონის თანმხვედრი აზრი

მე ვეთანხმები უმრავლესობის დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მე-60, 61-ე და 62-ე პარაგრაფებთან დაკავშირებით, მსურს მოგახსენოთ შემდეგი: მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ნათელია, რომ მთავრობის აქტი "საკანონმდებლო ღონისძიებას" არ წარმოადგენს. ასევე ნათელია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მთავრობის განკარგულება ნორმატიულ სამართლებრივ აქტთა კატეგორიას არ განეკუთვნება და წარმოადგენს "ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს", რომელიც მხოლოდ ერთჯერადად არის კანონიერი და მისი დანიშნულება არ არის ზოგადი სახელმძღვანელო წესის განსაზღვრა მრავალჯერადი გამოყენებისათვის (იხ. გადაწყვეტილების §§ 28 და 29).

აღნიშნული გარემოება მე საკმარის საფუძველს მამლევს, დავასკვნა, რომ მომჩივანი კომპანიის უფლებაში ჩარევა საკუთრების მშვიდობიან გამოყენებასთან დაკავშირებით 2004 წ. 2 ივლისიდან მოყოლებული №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებით არ იყო "კანონიერი". მიუხედავად ამისა, გარკვეულწილად მიჭირს, დავეთანხმო უმრავლესობას იმ საკითხში, რომ კამათის საგნად ქცეული მთავრობის განკარგულების მიღებას სახელისუფლო ორგანოების მხრიდან მომჩივანი კომპანიის უფლებაში ჩარევის მეორე მცდელობა მოჰყვა საკუთრების მშვიდობიან გამოყენებასთან დაკავშირებით.

ჩემი რწმენით, ეს საქმე უნდა განვასხვავოთ იმ სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან, რომლებიც გამოტანილ იქნა საქმეებზე: შტრან გრეეკ ლეფინერიეს და სტრატის ანდრეადის საბერძნეთის წინააღმდეგ (სერია A, საჩივარი № 301-B, 1994 წ. 9 დეკემბერი) და ანტონაკოპოლოსი, ვორცელა და ანტონაკოპულუ საბერძნეთის წინააღმდეგ (№ 37098/97, 1999 წ. 14 დეკემბერი) ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამო. ჯერ ერთი, ამ საქმეებისაგან განსხვავებით, საჩივარის თანახმად მოპასუხე მთავრობას არასოდეს უარუყვია მომჩივანი კომპანიისათვის გადასახდელი დავალიანების არსებობა. მეორეც, არ ჰქონია ადგილი რაიმე მცდელობას სახელმწიფო დონეზე, რომ კანონმდებლობითი გზით გაეუქმებინათ სახელმწიფო სასამართლოების მიერ აღიარებული საკუთრების უფლება. ამ გარემოებების

გათვალისწინებით, რადგან სახსრების სიმწირის გამო, ყველა აღიარებული ვალის ერთდროულად გადახდა არარეალური იყო, საქართველოს მთავრობამ გადაუხდელი ვალების ეტაპობრივი დაფარვის მექანიზმი დანერგა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე რიგითობის დაწესებით (იხ. გადაწყვეტილება §27).

მიმაჩნია, რომ თუ ღრმა ეკონომიკური კრიზისის გამო ქვეყანა რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება და თუ მას არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები, რომ აღიარებული ვალების ერთდროული დაფარვა უზრუნველყოს, მოპასუხე მხარის მიერ კანონიერი დროებითი ღონისძიების გატარება, რომლის მიზანი ყველა გადასახდელი ვალის ეტაპობრივი დაფარვაა, უბრალოდ, უგულვებელყოფილი არ უნდა იყოს როგორც არაგონივრული ან "უკანონო" მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანის საკუთრების ფლობის უფლებაში ჩარევის მიუღებელ მცდელობად ჩაითვლებოდა. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ ასეთ ვითარებაში აღიარებული ვალების დაფარვისას რიგითობის შემოღება მოპასუხე მხარის გონივრულ გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მას, პრინციპში, საერთაშორისო სასამართლოზე უკეთ ძალუძს შეაფასოს, მოსახლეობის რომელი ნაწილი დაზიანდება უფრო მეტად გადასახადის დაგვიანების შედეგად.

მე სრულიად თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი ჩარევა, შესაძლებელია, კანონიერ მიზანს ემსახურებოდეს. დასადგენია ის საკითხი, მიიღწევა თუ არა სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის. მე ასევე მიჭირს, დავეთანხმო უმრავლესობის კიდევ ერთ მოტივს №1 დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვის აღიარების საფუძვლად კამათის საგნად ქცეული განკარგულების "უკანონონოდ" მიჩნევასთან დაკავშირებით, კერძოდ იმ ნაწილში, რომ ის არ აძლევდა მომჩივან კომპანიას საშუალებას, განეჭვრიტა ზუსტად როდის იქნებოდა გადახდილი მისი ვალი.

უნდა შევნიშნო, რომ რამდენიმე სახელმწიფოში არსებული ვალაუვალობის კანონი (რომლებიც, სხვათა შორის, მხოლოდ კერძო კომპანიებს არ ეხება გარკვეულ ქვეყნებში) ძნელად თუ დააკმაყოფილებდა სიზუსტისა და განჭვრეტობადობის მოთხოვნებს კრედიტორთა გადასახადების დაფარვის ზუსტი დროის დადგენის თვალსაზრისით. ყოველივე ამის შემდეგ, თუმცა ვიცი, რომ ეს სასამართლო, ჩვეულებრივ, როდესაც ის თვლის, რომ ჩარევა "კანონიერი" არ არის, არ ახდენს საქმის შემდგომ გადახედვას იმის დასადგენად, იქნა თუ არა მიღწეული სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის, მე მაინც ვისურვებდი, ამ საკითხზე კიდევ ერთი მოსაზრების გამოთქმას. ამ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ძალიან ნათლად მიუთითებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების გადაუხდელობის საბაზად ფონდების უკმარისობის მომიზეზება სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მიუღებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაგვიანება განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. თუმცა

ასეთმა დაგვიანებამ არ უნდა ავნოს მე-6 მუხლის §1-ით მინიჭებული უფლების მოთხოვნას (სხვა მრავალ პრეცედენტთა შორის იხ. ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ, №59498/00, §35, CEDH-2002-III, და მოცემული გადაწყვეტილების §48). იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად №1 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს: დაგვიანებამ არ უნდა ავნოს ამ დებულებით მონიჭებული უფლების მოთხოვნას. შესაბამისად, ჩემი დასკვნა ასეთია: 2004 წ. 2 ივლისიდან მოყოლებული მომჩივანი კომპანიის უფლებაში ჩარევა საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობასთან დაკავშირებით ამ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უკანონო იყო. თუმცა, მე დავძენდი, რომ ძალაში შესული გადაწყვეტილების ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობის გამო სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საყოველთაო ინტერესის მოთხოვნებსა და მომჩივანი კომპანიის საკუთრების ფლობის უფლების დაცვის მოთხოვნას შორის არ იქნა მიღწეული.